EAST-WEST UNIVERSITY
Powered by Arizona State University

გიორგიმ დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი. სისხლძარღვთა ქირურგიის ორდინატურა გაიარა ბელარუსში, მინსკში, პოსტდიპლომური სამედიცინო განათლების აკადემიაში. ფლობს სისხლძარღვთა ქირურგის სახელმწიფო სერტიფიკატს.

მისი კლინიკური გამოცდილება მოიცავს საქართველოს ისეთ წამყვან სამედიცინო დაწესებულებებში მოღვაწეობას, როგორიცაა ქუთაისის ცენტრალური და საეკლესიო საავადმყოფოები, ქირურგიის ეროვნული ცენტრი, წმინდა მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის მრავალპროფილური კლინიკა, კლინიკა „გული“, ვივამედი, ალ. ალადაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკა და სხვა.

2019 წლიდან ხელმძღვანელობს ალ. ალადაშვილის საუნივერსიტეტო კლინიკის ანგიოქირურგიულ დეპარტამენტს. ასევე, გახლავთ ექიმი-ანგიოქირურგი ღუდუშაურის სახელობის ეროვნულ სამედიცინო ცენტრში.

პროფესიული განვითარება მრავალ სტაჟირებასა და მასტერკლასს მოიცავს მსოფლიოს წამყვან კლინიკებში – შვედეთში, ჩეხეთში, საფრანგეთში, პორტუგალიაში, არაბთა გაერთიანებულ ემირატებსა და სხვა ქვეყნებში, სადაც დაეუფლა ენდოვასკულარული ქირურგიის თანამედროვე მეთოდებს, მათ შორის EVAR, TEVAR, FEVAR ტექნიკებს.

ბოლო 5 წლის განმავლობაში აქვს ჩატარებული 1300-ზე მეტი ლაზერული აბლაცია და ფლებექტომია, 950-ზე მეტი ენდოვასკულური ოპერაცია, ასეულობით ღია ქირურგიული ჩარევა (AAA, TAA, TAAA), ასევე, სხვადასხვა სახის შუნტირება, ტრავმული დაზიანებების მართვა და ონკოლოგიური თუ ვენური პორტის იმპლანტაციები.

Giorgi graduated from Tbilisi State Medical University and completed his residency in vascular surgery at the Postgraduate Medical Education Academy in Minsk, Belarus. He holds a state certification in vascular surgery.

His clinical experience includes work at some of Georgia’s leading medical institutions, such as Kutaisi Central and Ecclesiastical Hospitals, the National Center of Surgery, Archangel St. Michael Multiprofile Clinical Hospital, Clinic “Guli,” Vivamedi, and the Alexandre Aladashvili University hospital, among others.

Since 2019, he has been the Head of the Vascular Surgery Department at the Alexandre Aladashvili university hospital and also serves as a vascular surgeon at the Acad. O. Gudushauri National Medical Center.

His professional development includes numerous trainings and masterclasses at leading medical centers across Sweden, the Czech Republic, France, Portugal, the United Arab Emirates, and other countries, where he mastered advanced techniques in endovascular surgery, including EVAR, TEVAR, and FEVAR procedures.

Over the past five years, he has performed more than 1,300 laser ablations and phlebectomies, over 950 endovascular surgeries, hundreds of open procedures (AAA, TAA, TAAA), various types of bypass surgeries, trauma-related vascular interventions, as well as oncologic and venous port implantations.